

## **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **პროგრამის მიზანი**

**მიზანი 1.** მოამზადოს ტრანსპორტის სფეროს ფართო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტი სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების (საავტომობილო, სარკინიგზო) ხარვეზების დიაგნოსტიკის პროცესში მონაწილეობისათვის;

**მიზანი 2.** შესძინოს კურსდამთავრებულს სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების შენარჩუნების, რემონტისა და მომსახურების სამუშაოების, დადგენილი პროცედურებისა და მითითებების შესაბამისად, წარმართვის უნარები შრომის, მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპების გათვალისწინებით;

**მიზანი 3.** ქვეყანაში ტრანსპორტის პრიორიტეტულობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით შეუქმნას კურსდამთავრებულს მყარი საფუძველი სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის.

## **სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)**

1. **აღწერს** თანამედროვე საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების ხარვეზების დიაგნოსტიკის, შენარჩუნების, რემონტისა და მომსახურებისათვის საჭირო ტექნიკურ საშუალებებს;
2. მითითებების შესაბამისად **ამუშავებს** საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების ხარვეზების დიაგნოსტიკის, რემონტისა და მომსახურების რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის, ცალკეულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ამოცანებს;
3. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად **ახორციელებს** სატრანსპორტო ობიექტების ტექნოლოგიურ დაპროექტებას შრომის უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით;
4. სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით **ადგენს** საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მდგომარეობას;
5. შემოქმედებითად **იყენებს** ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიურ საშუალებებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, არსებული პრობლემური საკითხების განხილვისა და გადაჭრის გზების ძიებისათვის;
6. **განსაზღვრავს** საკუთარი სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას და უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

## **სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (საავტომობილო ტრანსპორტის კონცენტრაცია)**

1. **იხილავს** თანამედროვე საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციებს, მათი მექანიზმებისა და სისტემების მუშაობის პრინციპებს;
2. **ავლენს** საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების ხარვეზებს დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
3. **გეგმავს** საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და მიმდინარე რემონტის სამუშაოებს ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად;
4. **აანალიზებს** საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებს;
5. არსებული მეთოდების გამოყენებით **წყვეტს** საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის პრაქტიკული ხასიათის ამოცანებს.

## **სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (სარკინიგზო ტრანსპორტის კონცენტრაცია)**

1. იხილავს თანამედროვე სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების კონსტრუქციებს, მათი მექანიზმებისა და სისტემების მუშაობის პრინციპებს;
2. ავლენს სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების ხარვეზებს დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;
3. გეგმავს სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისა და მიმდინარე რემონტის სამუშაოებს ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად;
4. აანალიზებს სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებს;
5. არსებული მეთოდების გამოყენებით წყვეტს სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის პრაქტიკული ხასიათის ამოცანებს.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX -ის მიღების შემთხვევაში სტუ ნიშნავს დამატებითი გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 30 ქულით). შუასემესტრული გამოცდისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესის“ და „საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესის“ შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

### სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსები	კრედიტი
1	საინჟინრო მათემატიკა 1	5
2	ზოგადი ფიზიკა 1	5
3	ზოგადი ქიმია A	4
4	მხაზველობითი გეომეტრია	3
5	კომპიუტერული სისტემები და გამოყენებითი ტექნოლოგიები 1	4

6	<b>უცხოური ენის 1 (არჩევითი სასწავლო კურსი)</b>	
6.1	ინგლისური ენა 1	5
6.2	გერმანული ენა 1	
6.3	ფრანგული ენა 1	
6.4	რუსული ენა 1	
7	მასალათმცოდნეობა	3
8	<b>არჩევითი ჰუმანიტარული სასწავლო კურსი</b>	
8.1	ფილოსოფიის საფუძვლები	3
8.2	შესავალი ფსიქოლოგიაში	
8.3	საქართველოს ისტორია	
8.4	სოციოლოგიის შესავალი	
8.5	კულტუროლოგია	
8.6	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	
8.7	პოლიტიკის საფუძვლები	
8.8	ტექნიკური დიზაინის ისტორია	
9	საინჟინრო მათემატიკა 2	5
10	ზოგადი ფიზიკა 2	5
11	გეგმილური ხაზვა	3
12	კომპიუტერული სისტემები და გამოყენებითი ტექნოლოგიები 2	4
13	<b>უცხოური ენა 2. (არჩევითი სასწავლო კურსი)</b>	
13.1	ინგლისური ენა 2	5
13.2	გერმანული ენა 2	
13.3	ფრანგული ენა 2	
13.4	რუსული ენა 2	
14	საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების ზოგადი კურსი	3
15	რკინიგზის სატრანსპორტო საშუალებების ზოგადი კურსი	3
16	აკადემიური წერის ელემენტები	3
17	საინჟინრო მათემატიკა 3	5
18	<b>უცხოური ენა 3. (არჩევითი სასწავლო კურსი)</b>	
18.1	ინგლისური ენა 3	5
18.2	გერმანული ენა 3	
18.3	ფრანგული ენა 3	
18.4	რუსული ენა 3	
19	გამოყენებითი მექანიკა	6
20	ჰიდრაულიკის საფუძვლები	3
21	ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები	3

22	გარემოს დაცვა და ეკოლოგია	3
23	შრომის დაცვის საფუძვლები	3
24	ტექნიკური მექანიკა	6
25	<b>უცხოური ენა 4. (არჩევითი სასწავლო კურსი)</b>	
25.1	ინგლისური ენა 4	5
25.2	გერმანული ენა 4	
25.3	ფრანგული ენა 4	
25.4	რუსული ენა 4	
26	სატრანსპორტო სისტემები	3
27	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა	3
28	საექსპლუატაციო მასალები	5
29	სატრანსპორტო კანონმდებლობა და ნორმატივები	4
30	თბოტექნიკა	3
31	სატრანსპორტო ეკოლოგია	3
32	ურთიერთმეცვლადობა და ტექნიკური გაზომვები	3
33	მიკროპროცესორული ტექნიკა ტრანსპორტზე	3
34	ლოგისტიკური მენეჯმენტის საფუძვლები	3
35	სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების სერვისი	6
36	სატვირთო გადაზიდვების ოპერაციების დაგეგმვა და კონტროლი	6
37	მოდრაობის უსაფრთხოება საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტზე	6
38	სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემები	5
39	ელექტრული ტრანსპორტი	4
40	ავტომატური მართვის მოწყობილობები და სისტემები	3
41	სახმელეთო სამგზავრო გადაყვანები	6
42	საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები	6
43	სატრანსპორტო საწარმოო პრაქტიკა	6
44	სატრანსპორტო ობიექტების ტექნოლოგიური დაპროექტება	6
45	დატვირთვა - განტვირთვის კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია	6
46	კომერციული საოპერაციო სისტემები ტრანსპორტზე	6
47	<b>არჩევითი კონცენტრაციები</b>	
47.1	<b>საავტომობილო ტრანსპორტის კონცენტრაცია</b>	
47.1.1	საავტომობილო ძრავები	3
47.1.2	ავტომობილის ძალური გადაცემა და სავალი ნაწილი	6
47.1.3	ავტომობილის ეკოლოგიური უსაფრთხოება	3
47.1.4	ავტომობილის დიაგნოსტიკა და ტექნიკური მომსახურება	7
47.1.5	საავტომობილო საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები	5
47.2	<b>სარკინიგზო ტრანსპორტის კონცენტრაცია</b>	

47.2.1	ვაგონების მოწყობილობა და წარმოების ძირითადი ელემენტები	3
47.2.2	ავტომატიკისა და ტელემექანიკის სისტემები სარკინიგზო ტრანსპორტზე	6
47.2.3	რკინიგზის ელექტრომომარაგება და მატარებელთა წევა	3
47.2.4	რკინიგზის სადგურები და კვანძები	5
47.2.5	რკინიგზის ელექტრომომარაგი შემადგენლობა	4
47.2.6	სარკინიგზო მოძრავ შემადგენლობათა ავტომატური მუხრუჭები	3
48	საბაკალავრო ნაშრომი	6
<b>თავისუფალი კომპონენტები</b>		
1	წარმატების სტრატეგია	3
2	საზოგადოებასთან ურთიერთობა (PR)	3
3	საინფორმაციო უზრუნველყოფა	3
4	მალფუჭებადი პროდუქტების შენახვა	3
5	საერთაშორისო ორგანიზაციები	3
6	ადამიანი და უსაფრთხოება	3
7	სოციალური პროგრესი და ავტომობილი	3
8	რკინიგზის მშენებლობის ისტორია	3
9	მეტროპოლიტენის მშენებლობის ისტორია	3
10	კომპიუტერული გრაფიკა (Corel Draw)	3
11	საგარდამქმნელო ტექნიკა	3
12	საქართველოს ეკონომიკა	3
13	საზოგადოება და მეტროპოლიტენი	3
14	ინტელექტუალური სისტემები	3
15	მეტყველების საფუძვლები	3
16	ქართული ნაციონალური კოსტუმი	3
17	მსუბუქი მრეწველობის ნაწარმისა და აქსესუარების მასალაში შესრულება	3
18	ქართული ხალხური რეწვა	3
19	წიგნის ხელოვნების განვითარების ეტაპები	3